დეკემბერი, 2015

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს საერთაშორისო კვლევებს და აფასებს ქვეყნებში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გარემოს. საქართველომ ზოგიერთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო ათწლეულში და ამას კარგად აჩვენებს საქართველოს წამყვანი რეიტინგი სხვადასხვა კვლევაში. აღსანიშნავია არაერთი ბიუროკრატული ბარიერის გაუქმებით/გამარტივებით მიღწეული წინსვლა. ამის ნათელი მაგალითია ბიზნესის რეგისტრაციის და საბაჟო პროცედურების სიმარტივე. თუმცა კვლავ რჩება პრობლემური მიმართულებები, რაც ნაწილობრივ მთავრობის და მთლიანად საზოგადოების არასაკმარისი ძალისხმევის, ხოლო ნაწილობრივ ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დამკვირებული ჩვევებისა და ტრადიციების შედეგია. ქვეყანაში მწვავედ დგას კვალიფიციური მუშახელის არარსებობის პრობლემა, შეფერხებულია ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა, დარღვეულია გენდერული თანასწორობა და სხვა.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ავტორიტეტული ორგანიზაციის უახლესი კვლევების შედეგები საქართველოსათვის. ამ რეიტინგებისა და შეფასებების ანალიზი დაეხმარება მთავრობას, ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორს პრობლემური საკითხების გამოვლენაში და შემდგომი მოქმედების განსაზღვრაში.

მოკლედ

- Standard & Poor's BB-
- Fitch BB-
- Moody's Ba3
- Ease of Doing Business #24
- Index of Economic Freedom #22
- Global Competitiveness Index #66
- Travel and Tourism Competitiveness Index #71
- The Networked Readiness Index #60
- The Global Innovation Index #73
- Corruption Perception Index #50
- Fragile States Index #70
- Human Development Index #76
- Social Progress Index #60
- Social Institutions and Gender Index #65

საქართველოს საკრედიტო რეიტინგი

ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უჩვენებს ინვესტორებს, თუ რა დონის რისკებთან არის დაკავშირებული ინვესტიციების განხორციელება ამ ქვეყანაში. სარეიტინგო კომპანიები აფასებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რათა განსაზღვრონ შესაბამისი რისკის დონე. სამი უმსხვილესი სარეიტინგო კომპანია - Standard & Poor's, Fitch და Moody's აფასებს ქვეყნის, როგორც მსესხებლის უნარს, შეასრულოს თავისი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე. ამ სარეიტინგო კომპანიების შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რეიტინგის გაუარესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ქვეყნის მიერ სესხის აღება ფულად ბაზარზე.

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი:

S&P BB-

Fitch BB-

Moody's[1] Ba3

ძლიერი მხარე

- DCFTA
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება
- ეკონომიკის ზრდის პოზიტიური პერსპექტივა
- ინსტიტუციური შესაძლებლობები
- ბიზნესის ოპერირებისათვის ხელსაყრელი გარემო
- მიმდინარე რეფორმები

სუსტი მხარე

- ლარის გაუფასურება
- შემცირებული ექსპორტი
- შემცირებული ფულადი გზავნილები
- მნიშვნელოვანი მოცულობის საგარეო ვალი
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

საქართველოს პოზიცია სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგში

Ease of Doing Business 2016

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ. ეს ანგარიში ზომავს და ადარებს ადგილობრივი ბიზნესის რეგულირების ხარისხსა და ეფექტურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. Ease of Doing Business 2016-ში, რომელიც 2015 წლის მონაცემებს ეყრდნობა, საქართველო 189 ქვეყნიდან 24-ე ადგილს იკავებს. წინა ანგარიშში საქართველო მე-15 ადგილზე იყო, თუმცა რეიტინგის გაუარესება შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილებით აიხსნება. განახლებული მეთოდოლოგიით ხელახლა შეფასდა 2014 წლის მონაცემებიც და საქართველომ მე-15-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ, წინა წელთან შედარებით, წელს საქართველოს რეიტინგი არ შეცვლილა.

საქართველოს რეიტინგი სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით:



1 Moody's Ba3 შეფასება ექვივალენტურია Fitch-ის და S&P-ის BB-შეფასებისა.

2 Distance to Frontier - სარეიტინგო ქულა, რომელიც გვიჩვენებს საუკეთესო მაჩვენებლისაგან დაშორებას (რაც კი კვლევაში დაფიქსირებულა 2005 წლის შემდეგ).

2015 Index of Economic Freedom

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უკ ვე 20 წელია ყოველწლიურად ქვეყნდება The Wall Street Journal-ში The Heritage Foundation-ის კვლევის საფუძველზე. 2015 წლის ანგარიშში საქართველო 22-ე ადგილს იკავებს (178-დან) 73.0 ქულით და „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფშია. ხოლო ევროპის რეგიონში არსებული 43 ქვეყნიდან საქართველო მე-11 ადგილს იკავებს. წინა წელთან შედარებით საქართველოს სარეიტინგო ქულა გაზრდილია 0.4-ით, კორუფციისაგან თავისუფლების, ბიზნესის თავისუფლებისა და სახელმწიფო დანახარჯების სფეროებში გაუმჯობესების შედეგად. ამასთან, გაუარესებულია შრომის თავისუფლებისა და ფისკალური თავისუფლების დონე.

ძლიერი მხარე

- დაბალი ტარიფები და თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა (მე-7 ადგილი)
- ბიზნესის თავისუფლება (მე-16 ადგილი)

სუსტი მხარე

სამთავრობო ხარჯები (74-ე ადგილი): 2014 წლის მონაცემებით საქართველოს მთავრობის დანახარჯები ადგილობრივი ეკონომიკის 30%-მდე არის, ხოლო სახელმწიფო ვალი მშპ-ის 32%-ს უტოლდება.

საქართველოს სარეიტინგო ქულა:



2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი:

ეკონომიკა	ქულა	რეიტინგი	თავისუფლების დონე
ჰონკონგი	89.6	1	თავისუფალი
სინგაპური	89.4	2	თავისუფალი
ახალი ზელანდია	82.1	3	თავისუფალი
ლუქსემბურგი	73.2	21	უმეტესად თავისუფალი
საქართველო	73	22	უმეტესად თავისუფალი
შვედეთი	72.7	23	უმეტესად თავისუფალი
სომხეთი	67.1	52	საშუალოდ თავისუფალი
ბულგარეთი	66.8	55	საშუალოდ თავისუფალი
რუმინეთი	66.6	57	საშუალოდ თავისუფალი
ყაზახეთი	63.3	69	საშუალოდ თავისუფალი
თურქეთი	63.2	70	საშუალოდ თავისუფალი
აზერბაიჯანი	61	85	საშუალოდ თავისუფალი
მოლდოვა	57.5	111	უმეტესად შეზღუდული
რუსეთი	52.1	143	უმეტესად შეზღუდული
უზბეკეთი	47	161	შეზღუდული
უკრაინა	46.9	162	შეზღუდული
ირანი	41.8	171	შეზღუდული
თურქმენეთი	41.4	172	შეზღუდული

Global Competitiveness Index 2015-2016

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შეფასებულია ბიზნესგარემო და კონკურენტუნარიანობა სხვადასხვა ქვეყანაში. ეკონომიკაში მიმდინარე ძირეული პროცესები: ვალუტის გაუფასურება, სასაქონლო ფასების მერყეობა, გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, უსაფრთხოების პრობლემები – ეს ყველაფერი გათვალისწინებულია რეიტინგის დათვლისას. 2015-2016 წლის ანგარიშში, რომელიც 2014 წლის მონაცემებს ემყარება, საქართველო 66-ე ადგილს იკავებს (140-დან) და მისი სარეიტინგო ქულაა 4.22 (7-დან). წინა წელთან შედარებით ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესებულია 3 პუნქტით. თუმცა ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ წინა წლის ანგარიშში გამოკვლეული რამდენიმე ქვეყანა მიმდინარე წლის ანგარიშში აღარ მონაწილეობს. მათ შორის არის პუერტო რიკო და ბარბადოსი, რომლებიც რეიტინგით საქართველოს უსწრებდნენ. ამ ქვეყნების სარეიტინგო სიიდან ამოვარდნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესებას.



საქართველოს რეიტინგი ინდიკატორების მიხედვით:

3 საქართველოში მოქმედი მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელების მიერ შევსებული კონფიდენციალური კითხვარების მიხედვით.

Travel and Tourism Competitiveness Index 2015

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტულობის ინდექსი ზომავს იმ ფაქტორების ეფექტურობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებას და ხელს უწყობენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ანგარიში ქვეყნდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2 წელიწადში ერთხელ.

2015 წლის რეპორტში საქართველო 71-ე ადგილზეა (141-დან) 3.68 ქულით.

საქართველოს შედეგი კატეგორიების მიხედვით:

მაღალი	ჯანმრთელობა და ჰიგიენა; ბიზნეს გარემო; უსაფრთხოება.
საშუალო	ტურიზმის პრიორიტიზება; ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი; ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა; გარემოს მდგრადობა.
დაბალი	საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; ბუნებრივი რესურსები.

The Networked Readiness Index 2015

ქსელური მზაობის ინდექსი ქვეყნდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და INSEAD-ის ანგარიშში გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ. ეს ინდექსი აფასებს ქვეყნაში არსებულ ფაქტორებს, პოლიტიკასა და ინსტიტუტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, სრულად იყოს გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კონურენციისა და კეთილდღეობის გასაზრდელად. ქსელური მზაობის ინდექსი გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორი პირობებია ბაზარზე და რამდენად განვითარებულია კავშირი მსოფლიოსთან.

საქართველოს რეიტინგი ქსელური მზაობის ინდექსში:

2015 წლის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ინტერნეტხელმისაწვდომობის კუთხით ზრდადი ტენდენციები შენარჩუნებულია. თუმცა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება.

The Global Innovation Index 2015

გლობალური ინოვაციის ინდექსი მზადდება Cornell University, INSEAD და WIPO[4]-ს მიერ. ეს ინდექსი ზომავს ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობებს სხვადასხვა ჭრილში. მისი მიზანია, დაგვეხმაროს პოლიტიკის ისეთ გარდაქმნაში, რომ ხელი შეეწყოს პროდუქტიულობისა და დასაქმების ზრდას და, შედეგად, გამოშვების გრძელვადიან მატებას. 2015 წლის ანგარშში ინდექსი აფასებს 141 ქვეყანას, რომლებიც ერთად მსოფლიო მშპ-ის 98.6%-ს ქმნიან.

ანგარიშის თანახმად, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური განსხვავება მცირდება. ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ უფრო და უფრო მეტი განვითარებადი ქვეყანა ითვისებს ინოვაციებს. საქართველო ერთ-ერთია იმ 11 ქვეყანას შორის, რომელთა სარეიტინგო ქულა მნიშვნელოვნად მაღალია მათ მშპ-თან შედარებით და, ასევე, შეფასების არაერთ კატეგორიაში უსწრებენ მათი შემოსავლის ჯგუფში შემავალ სხვა ქვეყნებს. ამას გარდა, სხვა მრავალ ქვეყანასთან შედარებით, საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებზე არსებული დაბალი საგადასახადო წნეხი დამატებით უწყობს ხელს ამ სფეროს განვითარებას. მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ინსიტიტუტების და განათლებისა და ტექნოლოგიების მიმართულება. თუმცა, განათლებისა და კვევითი მიმართულებების ხარისხის გაუმჯობესება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის.

4 World Intellectual Property Organization

საქართველოს რეიტინგი გლობალური ინოვაციის ანგარიშში:

#73	მსოფლიოს 141 ქვეყნიდან
#10	ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ აზიის რეგიონში
#6	საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის
#1	მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობით

ინდიკატორების ცვლილება 2014 წლის შემდეგ:

ინსტიტუტები	↑
ადამიანური კაპიტალი და კვლევები	↑
ინფრასტრუქტურა	↓
ბაზრის განვითარების დონე	↓
ბიზნესის განვითარების დონე	↑
განათლება და ტექნოლოგიები	↓

Corruption Perception Index 2014

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ყოველწლიურად აფასებს, თუ რამდენად კორუმპირებულია საჯარო სექტორი სხვადასხვა ქვეყანაში. კორუფციის აღქმის ინდექსი კომპოზიტური ინდექსია, რომელიც ეყრდნობა საჯარო სექტორში კორუფციის დონის შეფასებებს სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევებიდან.

2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი ზომავს კორუფციის დონეს 175 ქვეყნის საჯარო სექტორში და აფასებს 0-დან 100-მდე. რაც უფრო ნაკლებია კორუფცია, მით უფრო მაღალი ქულა ენიჭება ქვეყანას. 2014 წლის ანგარიშში საქართველო 50-ე ადგილზეა 52 ქულით (2013 წლის კვლევაში საქართველო 55-ე ადგილს იკავებდა 49 ქულით) და ეს რეიტინგი დამყარებულია 6[5] წყაროს მონაცემზე. ამ შედეგით საქართველო ლიდერობს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

Fragile States Index 2015

The Fund for Peace-ის მიერ ყოველწლიურად მზადდება არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი, რომელიც აანალიზებს პოლიტიკურ რისკს, რათა წინასწარ გააფრთხილოს პოლიტიკოსები და მთლიანად საზოგადოება შესაძლო კონფლიქტის შესახებ. ეს ინდექსი ზომავს სტაბილურობის ან არსებული დაძაბულობის დონეს ათასობით ანგარიშებისა და სტატიების საფუძველზე გამოთვლილი რისკის ინდიკატორების საშუალებით.

2015 წლის რეიტინგში საქართველო 70-ე ადგილს იკავებს (178-დან) 79.3 ქულით. რაც უფრო არასტაბილურია სახელმწიფო, მით უფრო მაღალი ქულა და რეიტინგი

5 Bertelsmann Foundation, World Bank, World Economic Forum, World Justice Project, Global Insight და Freedom House.

ენიჭება მას. რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს სამხრეთ სუდანი. ხოლო 178-ე ადგილზე ფინეთია და ის ერთადერთია ყველაზე მდგრადი ქვეყნების კატეგორიაში.

საქართველოს ყველაზე კარგი შედეგი დემოგრაფიული პრობლემებისა და საჯარო მომსახურების მხრივ აქვს. ხოლო ყველაზე მეტ საფრთხეს ქვეყანას ელიტური ჯგუფების გავლენა უქმნის. არასტაბილურობის მიზეზი, ასევე, გახდა რუსეთსა და აფხაზეთის რეგიონს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

საქართველოს სარეიტინგო ქულის დინამიკა:



Human Development Index 2015

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 1990 წლიდან პერიოდულად ითვლის ჰუმანური განვითარების ინდექსს, რომელიც მოცემულია ჰუმანური განვითარების ანგარიშში. ჰუმანური განვითარების ინდექსი არის განვითარების ძირითადი საკითხების, ტენდენციებისა და პოლიტიკის დამოუკიდებელი და ემპირიული ანალიზი. იგი ეყრდნობა ისეთ ძირითად მაჩვენებლებს, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლება და ცხოვრების დონე.

2015 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 76-ე ადგილს იკავებს 188 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის და ჰუმანური განვითარების ინდექსით 0.754 მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნებს შორის ხვდება.

ინდექსის შემადგენელი ინდიკატორები:



Social Progress Index 2015

ეკონომიკურმა ზრდამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანების ცხოვრების დონე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა საკმარისი არაა. საზოგადოება ვერ ჩაითვლება წარმატებულად, თუ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, გაუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, დაიცვას გარემო და ა.შ. სოციალური პროგრესის ინდექსის მიზანია, შექმნას საზოგადოების ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ყოველმხრივი შეფასების სისტემა.

სოციალური პროგრესის ინდექსი პირველად 2014 წელს გამოქვეყნდა[6] Social Progress Imperative-ის მი ერ. ეს ინდექსი ზომავს მხოლოდ რეალურ შედეგებს და არა იმას, თუ რას აკეთებს სახელმწიფო. მაგალითად, ქვეყანაში ჯანმრთელობის დონის შესაფასებლად ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მაგივრად გამოიყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობის ანალიზი.

2015 წლის რეიტინგში საქართველო მე-60 ადგილს იკავებს 133 ქვეყნიდან.

6 2013 წელს გამოიცა საცდელი ვერსია, რომელიც 50 ქვეყნის მონაცემებს ემყარებოდა.

სოციალური პროგრესის ინდექსი 2015:

Social Institutions and Gender Index 2014

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI[7]) მზადდება The OECD-ის განვითარების ცენტრის მიერ. SIGI სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ ინსიტუტებში ზომავს, თუ რამდენად ზღუდავენ ისინი ქალებისა და გოგონების უფლებებს. დისკრიმინაცია განსაკუთრებით აქტუალურია განათლების, დასაქმებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ეს ინდექსი ზომავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მემკვიდრეობის მიღებისას არათანასწორი უფლებები, ადრეული ქორწინება, ქალებზე ძალადობა და სხვა.



7 Social Institutions and Gender Index

PISA

სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA[8]) არის მსოფლიოს მასშტაბით განათლების სისტემის შეფასების კვლევა, რომელიც OECD-ის მიერ ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. ეს კვლევა ემყარება 15 წლის[9] მოსწავლეების ცოდნისა და უნარების ტესტირების შედეგებს. კვლევაში მონაწილეობის სურვილს თავად ქვეყანა გამოხატავს და ხარჯებსაც ის ფარავს (ძირითადად განათლების სამინისტრო).

2009 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 64-მა ქვეყანამ და ტერიტორიამ. ყველა კატეგორიაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა შანხაის. 2010 წელს Australian Council for Educational Research-მა ანალოგიური პრინციპით დამატებით გამოიკითხა 10 ქვეყანა[10], მათ შორის საქართველოც. ეს ცნობილია, როგორც PISA 2009+ პროექტი.

PISA 2009-ის შედეგები:



მეორედ საქართველომ მონაწილეობა 2015 წლის კვლევაში მიიღო, რომლის შედეგებიც 2016 წლის დეკემბერში გახდება ცნობილი.

8 Programme for International Students Assessment

9 მონაწილებისათვის მოსწავლე უნდა იყოს სულ ცოტა 15 წლის და 3 თვის და მაქსიმუმ 16 წლის და 2 თვის.

10 არაბთა გაერთიანებული საამიროები, ვენესუელა, კოსტა რიკა, ინდოეთი (2 შტატი), მავრიტანია, მალაიზია, მალტა, მოლდოვა, საქართველო.

ბიბლიოგრაფია

Australian Council for Educational Research. „PISA 2009 Plus Results.“ 2011.
Cornell University, INSEAD, The World Intellectual Property Organization. „The Global Innovation Index.“ 2015.
Fitch Ratings, Inc. http://www.fitchratings.com.
McDevitt, Andrew. The State of Corruption: Armenia, Azerbaijan, Georgia, Moldova and Ukraine. Transparency International, 2015.
Michael, Porter, Scott Stern, and Michael Green. Social Progress Index. The Social Progress Imperative, 2015.
Moody's Analytics, Inc. http://www.moodys.com.
Standard & Poor's Financial Services LLC. http://www.standardandpoors.com.
The Fund for Peace. „Fragile States Index.“ 2015.
The Heritage Foundation. Index of Economic Freedom. http://www.heritage.org/index.
The OECD Development Centre. „Social Institutions and Gender Index.“ 2014.
The World Bank Group. „Doing Business 2015.“ Washington, 2014.
The World Bank Group. „Doing Business 2016.“ Washington, 2015.
Transparency International. „Corruption Perceptions Index .“ 2014.
United Nations Development Programme. „Human Development Report.“ 2015.
World Economic Forum and INSEAD. „The Global Information Technology Report.“ 2015.
World Economic Forum. „The Global Competitiveness Report 2015-2016.“ 2015.
World Economic Forum. „The Travel & Tourism Competitiveness Report.“ 2015.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს.
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.

ეკონომისტი: ნათია ბანცური I პროექტის ხელმძღვანელი: ირინა კვახაძე
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
მისამართი: გ. ლეონიძის ქ. №2 I ტელეფონი: 995 32 2202215 I ელ.ფოსტა: info@bag.ge
www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia
www.bag.ge